

# საგზაო



სპორტული გაზეთი სამუშაოთი 31 იანვარი 2006 №20 (2642)

ფასი 50 თეთრი

გაზეთის ფასი



**ჩარნიშოვს  
16 თვე ვისვენს**  
თბილისის  
დინამო ახალი  
ეფრთნელი  
ოფიციალურად  
წარადგინა



## ეს საქართველო – რუსეთი კალიან შივი და კალიან სხელი იქნება


გუზინ რამოზრენილი ჩვენი  
მორაგბეები დღეს უპირებს იწყებენ



გადი კიტილაძის ფოტოები



**ფილა  
სოცსალია?**  
ანთალიური  
ინტერვიუ  
გიორგი  
დემეტრაქესთან



**ვერა  
ევროპაა**  
თავისუფლები დღეს  
თავისუფლდებიან



## ნუ მოვატყუებთ ტოპის

სვალეს ვერ  
გადაასტები:  
დაპარბული  
ნაბრები



„ამერთან“ ერთად ანთალიაში, იმავ სასტუმროში და იმავ დღეს, შეკრება ვლადიკავკაზის „ალანამაც“ დაინყო, ამ გუნდში კი, მოგეხსენებათ, ბიორბი დემეტრადე თამაშობს. სასტუმროს ფოიეში მუდამ უამრავი ხალხი იყრის თავს და თუ გიორგი დემეტრადეც ფოიეშია, მისი პოვნა თვალდახუჭულსაც შეგიძლიათ — სიცილის ხმას უნდა გაჰყვით და იმ ჯგუფს მიადგებით, რომლის სულიც და გულიც დემეტრადეა. ის, როგორც ჩვევია, მხიარულ ამბებს ყვება, თვითონაც ხალისობს და სხვებსაც ახალისებს. ეს ინტერვიუ მაშინ არის ჩანერილი, როცა გიორგი ჩიხრაძემ ამერელები ნასადილევს დასასვენებლად გაუშვა და დემეტრადე ქართული კომპანიის გარეშე დარჩა...



# ფეოლა ცოცხალია? რატომ არ არის საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბიორბი დემეტრადე

— ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი, აქ წამოსულს ქართული ვახუთის ჟურნალისტი თუ დამიხვდებოდა ინტერვიუსთვის — ასეთი იყო დემეტრადის პირველი რეაქცია. ხოლო შეთავაზებაზე, საღამოს შეგხვდეთ ინტერვიუსთვის-თქო, საპასუხო შემთავაზება მივიღე, რატომ საღამოს, ახლავე შეგიძლია ვისაუბროთო...  
— იარე, იარე და ისე „ალანამაში“ მიხვედი...  
— ჰო, ეგრე გამოდის, მაგრამ რა პრობლემა...  
— უბრალოდ, ადრე „ალანამა“ ჩემპიონობისთვის იბრძოდა, ახლა კი პირველ დივიზიონშია...  
— რა თქმა უნდა, იმას არ ვიტყვი, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ დივიზიონში ვითამაშებ-თქო, თუმცა „ალანამაში“ ახლა არანაკლები პირობებია, ვიდრე კლუბისთვის საუკეთესო წლებში იყო.  
— თუ უკეთესი ვარიანტი გამოვიჩინდა, არ წახვალ?  
— ორი შემთავაზება ახლაც მაქვს, თელ ავივის „მაკაბი“ და დონეცკის „მეტალურგი“ მიწვევენ. ორივე კარგი ვარიანტია და მეც არ ვარ წინააღმდეგე, მაგრამ, ცხადია, „ალანამას“ თანხმობაა საჭირო.  
— ხელმძღვანელობას ამის თაობაზე არ ვლაპარაკებ?  
— ველაპარაკებ და ახლა მწვრთნელის გადასაწყვეტია, შემეღებოთ თუ არა. თან პირველ დივიზიონში უცხოელებზე ლიმიტია — ერთდროულად სამზე მეტი ვერ ითამაშებს. ისე კი, ჩვენს ახალ მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთ-

ობა მაქვს, ძლიერი სპეციალისტია.  
— ახალი მწვრთნელი ნაკრებშიც დაგხვდება...  
— დიდი იმედი მაქვს, რომ ტომპილერის ხელში ჩვენი ნაკრები, ბოლოს და ბოლოს, წარმატებას მიაღწევს.  
— რამდენჯერაც მწვრთნელი შეიცვალა, ან სანამ ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება ხოლმე, ნაკრების ფეხბურთელები ერთსა და იმავეს იმეორებთ, იმედი გვაქვსო, მერე კი...  
— აბა, რა უნდა ვთქვათ, როცა უკეთესობის იმედი ყოველთვის გვაქვს?!  
— მაინც რა არის მიზეზი, საქართველოს ნაკრებს ასეთი ცუდი შედეგები რომ აქვს?  
— ეგ რომ ვიცოდე, მე ვიქნებოდი მთავარი მწვრთნელი. მე რასაც მავალბებ, ვცდილობ, კარგად შევასრულო.  
— მაშინ ასე გკითხავ: ეთანხმები თუ არა ზოგის მოსაზრებას, რომ ჩვენ გვყავს კარგი ფეხბურთელები, მაგრამ არ გვყავს გუნდი...  
— ვეთანხმები. მართლა ძალიან კარგი ბიჭები გვყავს და იმედია, ტომპილერი მაინც გააკეთებს კარგ გუნდს.  
— 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებზე რას იტყვი?  
— ასპროცენტიანი გარანტია ფეხბურთში, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ფეოლა რომ მოიყვანო მწვრთნელად ის ვერ მოგცემს ასპროცენტიან გარანტიას. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ თამაშის

ხარისხს მნიშვნელოვნად ვაგაუმჯობესებთ. ხო მართლა, ფეოლა ცოცხალია?  
— როგორც ვიცი, არა. და შენ თუ იცი, საქართველოს ჩემპიონატში რა ხდება?  
— რაც ვიცი, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. თამაშებს ბუნებრივია, ვერ უყურებ, მაგრამ ვახუთებს ხომ ვკითხულობ. საქართველოს ჩემპიონი „ფახთაქორს“ რომ ვერ მოუგებს, მეტი რა გინდა?!  
— ესენგეს თასის თამაშებს უყურებ?  
— ვერ მოვახერხებ, მაგრამ ისე ვახუთებ მთავრები. გადაშლი რუსულ და უკრაინულ ვახუთებს და იგებ, რომ ყველა იქაური გუნდი ჩემპიონატში შესვენების დროს სამოთხე შეკრებას გადის. მერე კითხულობ ქართულ ვახუთებს და იგებ, რომ გუნდების უმრავლესობას მოედანზე არ აქვს და ხალიჩაზე ვარჯიშობს ან საერთოდ ვერ ვარჯიშობს. ხომ ნახე, როგორ ითამაშა „ნეფთჩიმი“ ესენგეს თასზე. იცი, რამდენია აზერბაიჯანული კლუბების ბიუჯეტი? დაახლოებით 10 მილიონი დოლარი. საქართველოს რაგბის, კალათბურთის და ფეხბურთის გუნდები რომ შეკრიბო, მგონი, ერთად არ გამოუვათ ამდენი.  
— ესე იგი, ქართული ფეხბურთის მთავარი პრობლემა ფინანსებია?  
— რა თქმა უნდა. აბა, ვინ იტყვის, რომ საქართველოში ნიჭიერი ფეხბურთელები აღარ არსებობენ...  
**ბიორბი დარჯანია**  
ანთალიიდან

geo\_geo\_fan@hotmail.com

სანაკრებო რუბრიკა გაიხსნა და ქომაგების წერილებიც უხვად მივიღეთ. მოსალოდნელიც იყო და ასეც მოხდა, ყველა წერილის შინაარსი ერთნაირია და ეს ვასაგებიცაა — ქრონიკული ნაგებებისგან იმედაყრილი ქართველი ქომაგის გულისთქმა ერთია: ფეხბურთი ძალიან, ძალიან, ძალიან

# მოგვენატრა

**DATOKANDELAKI:** გამარჯობათ. ურთულეს ჯგუფში მოვხვდი, იმ გუნდების დახასიათებას არ დავიწყებ, რომლებიც ჩვენ მეტოქედ გვერგო, ისედაც ცხადია, რომ საფრანგეთი და იტალია მსოფლიო ფეხბურთის გრანდებს მიეკუთვნებიან, უკრაინა და შოტლანდიაც ძლიერი გუნდებია.  
მე იმის თქმა მინდა, რომ ვინც საქართველოს ნაკრების სახელით გამოვა: ფეხბურთელი, მწვრთნელი თუ პრეზიდენტი, ვახსოვდეთ, რომ თქვენ უკან საქართველო! თქვენ საქართველოს სახელით თამაშობთ და ვგაჩვენეთ ჩვენ, გულშემატყვირებს, თამაში ბრძოლითა და შემართებით. ჩვენ კი გულს გაჩვენებთ და თქვენ გვერდით ვიქნებით! ბოლო-ბოლო მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი.  
**KALANDIA-A:** საქართველოს ნაკრები ასეთ ძლიერ ჯგუფში ვერ არ მოხვედრილა. პირადად მე ძალიან გამიხარდა ის, რომ ჩვენს ჯგუფში მსოფლიო ფეხბურთის გრანდებიც მოხვდნენ. სულელი უნდა იყოს ის, ვისაც აქედან ევროპაზე ვასვლით იმედი აქვს, მაგრამ იმის იმედი ნაღდად მაქვს, რომ ტოპის ხელში საქართველოს ნაკრები წინააღმდეგობას გაუწყვეს ნებისმიერ მეტოქეს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გვედირსოს ერთად შეკრული და ბრძოლისუნარიანი ნაკრები. შოტლანდიას თბილისში უკვეელი უნდა მოუვლით, ისევე როგორც უკრაინას. ჩვენ ნამდვილად, რეალურად შეგვიძლია ეს. იტალიას ან საფრანგეთს ერთ ფრეს თუ ვაუგვორებთ, ესეც მაგარი იქნება, თორემ ვასვლებზე ჩვენი მანისი ნულის ტოლია. ასე რომ, ბრძოლა შეიძლება. ჩემი აზრით, მესამე ადგილი დიდი წარმატება იქნება ჩვენთვის. მთავარია, უკრაინა და შოტლანდია არ ვაგაზაროთ. ლიტვასთანაც ვაგვიჭირდება, მაგრამ 6 ქულა უნდა ავიღოთ, ფარერებზე აღარ ვლაპარაკობ. მოკლედ, ველოდებით საფეხბურთო დღესასწაულებს თბილისში. ჩვენ მართლა მოვენატრა ნამდვილი ფეხბურთის ცოცხლად ყურება საქართველოს ნაკრების შესრულებით.  
**NUKRI:** რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ნაკრების ფურორს მოახდენს ამ ციკლში, თუმცა ვინ იცის?... ტომპილერის დანიშნა აუცილებლად მოიტანს იმ ეფექტს, რომელიც სამომავლო წარმატებების საფუძველი უნდა გახდეს.  
ასევე იძულებული ვარ, ვაღიარო ჩვენი აჭრილი ნაკრებისთვის ევროპული მენტალიტეტის მწვრთნელის ყოლის აუცილებლობა

(ფრანგს ან იტალიელს ვერმანეული ყოველთვის მერჩივნა). ჩვენი მასშტაბით ტომპილერისთვის გადახდილი უზარმაზარი თანხა აუცილებლად მოიტანს დადებით შედეგს: საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ქვეყნის პრესტიჟის ამაღლებას, ფინანსურ მოგებას, რის იმედსაც მაძლევს ტომპილერის ამბიციურობა. ჯგუფში საფრანგეთსა და იტალიასთან მოხვედრა საუკეთესო დოპინგი უნდა აღმოჩნდეს ჩვენი ფეხბურთელებისთვის. ამის თქმის უფლებას მაძლევს საბერძნეთის ნაკრების მაგალითი. ასე რომ, ვვახსოვდეს ელდა და იმედი ნუ მოგვიშლის ღმერთმა.  
**SUPPORT:** მე, როგორც გულშემატყვიარს, დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოს ნაკრები ღირსეულად ითამაშებს ევრო-2008-ის შესარჩევ ეტაპზე. მთავარი პრობლემა მაინც გუნდის შეუთანამშრომლობა და ამის გამოსწორება შეიძლება. ახლა კარგი მწვრთნელი გვყავს, ტომპილერი საბრძოლო განწყობას მისცემს გუნდს. ჩემი აზრით, ჩვენი გუნდი იტალიას არაფერს დაუთმობს. კიდევ სასურველი არის თავდასხმაში ძლიერი ფეხბურთელების დაყვება — აბა, დემეტრადე მან დაბალია და ამდენ ორთაბრძოლებს ვერ მოიგებს ძალიან მიკვირს, რომ ამბობენ მარჯვენა ფლანგზე პრობლემა გვაქვსო. და საერთოდ, რას ერჩიან მფაგანძებს, ყველაზე კარგად თამაშობს დაკავშირებული შეტევაში ნაკრებში აქვს.  
**DATO-TSS:** „სარბიელს“ გაუმარჯოს, თქვენი ერთგული მკითხველი მოვესალმებო.  
ძალიან ძნელ ჯგუფში მოვხვდით, თუმცა დღეს ხომ ყველასთან შესაძლებელია თამაში. მთავარია, კლაუს ტომპილერმა ერთგუნდად შეკრას ნაკრები, ერთსულოვნება ჩაუნერგოს თითოეულ ფეხბურთელს და ღვთის წყალობით, ყველაფერი გამოვიკეთებ. ახალი ციკლის დაწყებამდე ვერ კიდევ დიდი დროა, ამიტომ ეს პერიოდი სათანადოდ უნდა გამოიყენოს ნაკრებმა!  
რაც შეიძლება ბევრი თამაში, რომ გუნდი შეიკრას და შეთანამშდეს. ისე, ჩემი აზრით, იტალიის ნაკრები ძალიან ძლიერია და მასთან ძალიან ვაგვიჭირდება. საფრანგეთი კი უკვე დასუსტდა და მასთან შეიძლება ბრძოლა, თან ალბათ ზინედი ზიდანიც წავა მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ნაკრებიდან. უკრაინას კი როდესმე ხომ უნდა მოუვლით?! ენახოთ, ყველაფერი წინაა. იმედი მაქვს, ამ შესარჩევში ნაკრები წარმატებით გამოვა.

მოგვეწერეთ...



# Torneio Internacional Vale do Tejo 2006

## Seleção Nacional "B"



ვალე დო ტეჯოს საერთაშორისო ტურნირი, ტრადიციულად, B ნაკრებების მონაწილეობით ტარდება, საქართველო კი იქ 19-წლამდელებით წარდგა

# ნუ მოვატყუებთ ტოპის

ნაკრების მწვრთნელი უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს საკუთარი გრაფიკი და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს. ვფიქრობთ, უპრიანი იქნებოდა, ტოპილოლების ავტორიტეტი პარიზში კალენდრის ჩვენეული ვერსიის დასაცავად გამოგვეყენებინა, მაგრამ რადგან თავად გერმანელმა სხვაგვარად ისურვა, ჩანს, ასეა საჭირო. არაფერი გასაოცარი იმაში არ არის, ეროვნული ნაკრების ახლად დანიშნულმა დამრიგებელმა უახლოესი რეზერვის საქმეში ნახვა ინდოლოს. მთავარი ისაა, ნახავს თუ არა 7 და 9 თებერვალს ტოპილოლერი ეროვნულის უახლოეს რეზერვს?

ჯერ ის ვთქვათ, რას ნიშნავს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პირველ მეტოქედ მალტა ელის. გამარჯვებული ჯგუფური ეტაპზე გადაინაცვლებს და ჯერ სერბეთთან საშინაო, შემდეგ კი ლიტვასთან გასვლით შეხვედრაში ეცდება პირველობას.

განმარტებისთვის: უფვა გვეუბნება, ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება 1984 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ყველა ფეხბურთელს აქვს, ტურნირს კი ოფიციალურად ევროპის 21-წლამდელობა ჩემპიონატი ეწოდება.

ლოგიკურად, 7 და 9 თებერვალსაც ტოპილოლერისთვის მოწყობილ ამ „კასტინგში“ ზემოთ ნახსენები ასაკის საუკეთესო ქართველმა მობურთალებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. ჩვენი ინფორმაციით კი, აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს ფაქტობრივად იგივე გუნდი დაუპირისპირდება, რომელიც ამჟამად პორტუგალიაშია — მოგვხსენებთ, ვალე დო ტეჯოს ოთხთა ტურნირში B ნაკრების ნაცვლად საქართველოს ღირსებას ახალგაზრდული ნაკრების სახელით 19-წლამდელები

9 თებერვალს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფში მოხვედრილი ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბებიან კალენდრის შესამუშავებლად. საქართველოს დელეგაციაში არ იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპილოლერი — იმავე დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრაა დანიშნული და ჰერ კლაუსი მას მიადევნებს თვალს...



კობა ჟორჯიაშვილი

თაშორისო შეხვედრა მოზარდისთვის ჩვეულებრივ „პაეზკად“ იქცეს და არა ბრძოლად, რომელშიც ქვეყნის ღირსებას იცავს. მოდით, დიდაქტიკა გვერდზე გადავლოთ და ვიკითხოთ: არის თუ არა დღეს კობა ჟორჯიაშვილის განკარგულებაში 1984 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული ყველა საუკეთესო ფეხბურთელი?

„კარგი“ და „საუკეთესო“ სუბიექტური ცნებებია, მაგრამ ვეჭვობ, დღეს მის განკარგულებაში ოთარ მარცვალაძეზე, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეზე, ზაალ ელიაშვილზე, დავით იმედაშვილზე, დავით გიგაურზე, თენგიზ ჩიკვილაძეზე, რევაზ გეწაძეზე, სანდრო იაშვილზე უკეთესი შემსრულებლები იყვნენ. წამითაც არ ვაყენებთ ეჭვქვეშ დღეს პორტუგალიაში მყოფი ბიჭების ნიჭსა თუ პერსპექტივას, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ნაადრევად დაღვინებას ეჩქარობთ.

ერთი სიტყვით, არ შეიძლება ერთბაშად მთელი საფეხბურთო თაობა თამაშარეში დატოვოთ, გუნდი „ვაკაწროთ“ და ორი ნაკრების (ახალგაზრდული და 19-წლამდელობა) ტვირთი აკიდოთ ერთს, იმ ბიჭებს, რომლებსაც ჯერ საქართველოს ჩემპიონატშიც კი არ მიუღიათ სათანადო სათანადო პრაქტიკა.

ერთი წერილისთვის მეტისმეტად ბევრი „თუ“ და კითხვის ნიშანი დაგროვდა. ზემოთქმული მხოლოდ სურვილია, რჩევაა, თხოვნა... ნუ წავა ტოპი პარიზში, დაესწროს ახალგაზრდულად მონათლული ჭაბუკთა ნაკრების შეხვედრას აზერბაიჯანელებთან, მაგრამ ისიც ვუთხრათ, რომ ეს ქართული ფეხბურთის ზეცინდელი დღეა.

სად არის ხვალისდელი? რა გითხრათ. მე რომ მკითხოთ, დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საერთოდ არ ჰყავს.

გიორგი ნოზაძე

## უპიტიხვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოვალეობის უმსრულეაელი გუნდის თავგაცობას: სად არის ხვალისდელი?

იცავდნენ. სწორედ აქ იწყება გაურკვეველობა, რომელსაც ალბათ უმოკლეს ვადაში უნდა დაეხვას წერტილი.

საქართველოს ახალგაზრდულ და 19-წლამდელობა ნაკრებებს დღეს ერთი მწვრთნელი ჰყავს — კობა ჟორჯიაშვილი. ეს ოფიციალურად, თორემ რეალურად ჟორჯიაშვილი ერთსა და იმავე გუნდს ხელმძღვანელობს, რომელიც საჭიროების მიხედვით, ხან ახალგაზრდულ, ხანაც ჭაბუკთა ნაკრებად მოიხსენიება.

ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს, სავარაუდოდ, ივნისში დაიწყებს. რაც შეეხებათ 19-წლამდელებს, მათ დაახლოებით ერთი თვით ადრე, მათში ელით გადამწყვეტი ბრძოლები — მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპზე გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპი-

ონატის ფინალურ ეტაპზე გავა. როგორ შევაჯეროთ ეს ორი ამოცანა ერთი გუნდის მოსამზადებელ გრაფიკთან და რეალურია თუ არა ფორმის პიკზე მასის თვეში გასული ნაკრების (იმედს ვიტოვებთ) იმავე ფორმაში შენარჩუნება ერთი თვის განმავლობაში? ღმერთმა ქნას, 19-წლამდელობა ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვდეთ, მაგრამ ისე არ გამოვიდეს, ეს ამოცანაც კერ შევასრულოთ, მერე კი ფიზიკურად და მორალურად გადაღლილი გუნდით მალტასთანაც წამოვკრათ ფეხი. ამით იმის თქმა შესურს, რომ ახალგაზრდამ ახალგაზრდის ტვირთი უნდა ზიდოს, ჭაბუკმა ჭაბუკის, კადეტმა კადეტის... ნამდვილად არ არის დღევანდელი ქართული ფეხბურთი განუხერხებელი ისეთი ტალანტებით, ერთბაშად ორ ასაკობრივ ზღვარს რომ გადააბი-

ჯებენ და დაიქუხებენ დიდ ფეხბურთში.

ფიფა-უეფას ორწლიანი ასაკობრივი დიფერენციაცია მექანიკურად ნამდვილად არ შემოუღია. ამ გადამწყვეტილებას წინ სერიოზული გამოკვლევები უძღოდა — უპირველესად სამედიცინო. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფეხბურთელისთვის სამი-ოთხი წლით უფროს მეტოქეებთან ჭიდილი არაადეკვატური ფიზიკურ დატვირთვებს მოითხოვს. უფრო მეტი საფრთხე კი მოზარდის ფსიქოლოგიურ მომზადებაში იმალება — ასაკით უფროსებთან თამაში მარცხის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის, რაც მას წაგებულის ფსიქოლოგიას უფალიბებს. თუკი ამას ტრადიციული „არა უშავს, მთავარი პერსპექტივაა და არა შედეგი“ ერთვის, დიდი შანსია, ყოველი მორიგი საერ-



ოთარ მარცვალაძე



გიორგი კველიძე



სანდრო იაშვილი

გადარი აბთილასის ფოტო

გადარი აბთილასის ფოტო

# ქართველები უცხოეთში

## კობიაშვილმა მეორე წრის პენალტი გაუტანა

ბერმანელმა ქართველმა ვალდებულ იტალიაში, განსაკუთრებით ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი გამოირჩნენ.

კობი და „შალკე“ მოგებით დაიწვეს ბუნდესლიგის მეორე წრე და ამაში ჩვენებურის წილიც დიდი იყო — სტუმრად „კაიზერსლაუტერნთან“ მატჩში ლევანმა პენალტით მეორე გოლი გაიტანა და თავის გუნდს 2:0 მოაგებინა.

მეორე ბუნდესლიგაში კი „ფრაიბურგმა“ იაშვილის 85-ე წუთზე გატანილი მოუგო „დრეზდენს“ და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორა. ამ მატჩში საინტერესო ისიც იყო, რომ ამ სეზონში პირველად გავიდა მოედანზე ოთარ ხიზანიშვილი, ვისაც დაახლოებით ათი თვე ბურთზე ფეხი არ დაუკარებია.

**კმთ თრეში და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — ასეთი ხვაიანი გამოდგა შოთა არველაძისთვის „როდასთან“ მატჩი. ახლა შოთას 20 თამაშში 17 გოლი დაუგროვდა, „ალკმარი“ კი მეორე-მესამე ადგილებს იყოფს „ფეიენორდთან“.

პოლანდიურ ერედივიზიონში მოთამაშე მეორე ქართველმა, გოგა გახოკიძემ კი ზედიზედ მეორე თამაშში წაგო — „ტვენტე“ სტუმრად „სპარტასთან“ ვერაფერი გააწყო (0:1) და სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილზეა. გახოკიძემ სრულად ითამაშა და ერთი-ორჯერ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ...

**ინგლისის ასოციაციის თასის მეთექვსმეტადღიანი ალიანსი** „გლაც-პრინი“, თუმცა ზურაბ ხიზანიშვილს და მის თანაგუნდელებს გული დიდად არ დაწვევდა — „ბლეკბერნს“ ამ ტურნირში მაინცდამაინც



ლევან კობიაშვილმა „კაიზერსლაუტერნს“ იმედი პენალტით მოუტანა

დიდი მიზნები არც ჰქონია და იმ-იტომ.  
„მილანმა“ „პორიში ორი ქულა დაკარგა“ და მეორეადგილოსან „ინტერს“ უკვე ოთხი ქულით ჩამორჩება. მილანელებმა „სამპდორიასთან“ საშინაო მატჩში ო-

ენ ფრე გაახერხეს, რამაც ერთხელაც გამოაჩინა, რომ ამ გუნდში ყველაფერი რიგზე ვერ არის. კახა კალაძემ კი „სამპდორიასთან“ სრულად ითამაშა და რამდენჯერმე შეტევაში ჩართვითაც გამოირჩა.

ბასა ზალამბერიძე



## ბურღულის კრივრი შანსი

რომორც ჩანს, ვლადიკავკაზის „ალანის“ გალია უნდა შემოვარტყათ და დავაწეროთ „აქ მოსვლა აკრძალულია“ (უფრო სწორნი თუ ვიქნებით, „არასასურველია“). შარშან ოსურ კლუბში შვიდი ქართველი თამაშობდა, ახლა შვიდივეს უნდა ამ გუნდიდან წამოსვლა, მაგრამ ოფიციალურად ეს ვერ ხერხდება — თითოეულის სანაცვლოდ ფულია გადასახდელი, თანაც არცთუ მცირე.

ერთ-ერთი ალანელი, ლადო ბურღული დღეს უკრაინულ კრივი როგის „კრივბასს“ ანთალიურ შეკრახზე გაკვეება და თუ იქაურებს თავი მოაწონა, ვინძლო, ტრანსფერიც გაიჩარხოს. თუ არა და, ლადოს

სათადარიგო ვარიანტად დანიური „ორჰუსი“ და თბილისის „დინამო“ რჩება. შეგახსენებთ, „კრივბასის“ წინა შეკრებაზე კიდევ ერთი ალანელი ჯაბა კანკავაც იყო, თუმცა ჯაბა უკრაინელებს მალევე დაშორდა. ისე, „კრივბასს“ ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველზე უარი ჯერ არ უთქვამს — მთავარი კანკავას სურვილია, რომელსაც სხვა წინადადებებიც აქვს.

ამასობაში კი „ალანამ“ თურქეთში ტესტ-მატჩი გაიმართა და 4:0 მოუგო იქაურ ქვედა ლიგულ „ისპარტასფორს“. ქართველთაგან გიორგი დემეტრაძემ ითამაშა პირველ ტაიმში, თუმცა გოლი არ გაუტანია.

ილია ნანოგაფილი

## რევიზიის პირველი და მეორე

ახლახან ვწერდით, ყაზანის „რუბინის“ ძირითადში ქართველი მეკარე ნუკრი რევიშვილი ძნელად თუ მოიკიდებს ფეხსო. ძნელად კი, მაგრამ რევიშვილის რუბინული მთავარმეკარეობა წარმოუდგენლად არ უნდა ჩანდეს — ყურბან ბერდიევიმა ესპანურ შეკრებაზე გამართულ საკონტროლო მატჩში ჩვენ-იანი 90 წუთი ათამაშა, თანაც მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და რევიშვილმაც მშრალად შეინახა კარი. ეს მისი პირველი მატჩი იყო სათათრეთის კლუბში.

ყაზანელებმა 2:0 მოიგეს, ქართველებს არ გაუტანიათ, თუმცა გიორგი ქინქლაძემ პირველ საკოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. ქინქლაძემ პირველი ტაიმი ჩამთავრა, რის შემდეგაც ბერდიევიმა მეორე შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე და მათ შორის იყო



ნუკრი რევიშვილი

ლაშა სალუქვაძეც „ლოკომოტივიდან“ კი შეუცვლელად ითამაშა მალხაზ ასათიანმა, ხოლო გიორგი ჭელიძე არ გამოჩენილა.

ილია ნანოგაფილი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი ჩვენი მეტოქე

## უკრაინამ თითო მილიონ ან ეუენებლობა, ან ფეხბურთი

ფიფამ ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპზე ჩვენი მეტოქის, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას თითო დაუქნია — თუ კიევის სტადიონ „ოლიმპიისკიზე“ უსაფრთხოების საკითხს არ მოაგვარებთ, ფიფას ეგიდით იქ ვერანაირ თამაშს ვერ ჩატარებთო.

„ოლიმპიისკი“ უკრაინის მთავარი სტადიონია და მასთან ახლოს მშენებლობა მიდის, ჰოდა, ფიფასაც მიაჩნია, რომ ამწეების ღრვიანი და სხვა სამშენებლო სამუშაოები საფრთხეს უქმნის „ოლიმპიისკის“.

ევრო 2008 უეფას ეგიდით იმართება, მაგრამ უეფა ფიფას ერთ-ერთი კონფედერაციაა და ალბათ ამ ყველაფრისგან განზე არ დარჩება.

ნიკა ჯორჯაძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
<b>იტალია. სერია A</b>								
კახა კალაძე	მილანი	შ	სამპდორია 1:1	90		14	1	3
<b>ბერმანია. მეორე ბუნდესლიგა</b>								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ლაუტერნი 2:0	90	1 გოლი	18	2	4
ლევან ციტიშვილი	ვოლფსბურგი	ს	დორტმუნდი 2:3	0	ტრავმირებულია	13	0	14
<b>ბერმანია. მეორე ბუნდესლიგა</b>								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	დრეზდენი 1:0	90	1 გოლი	18	2	4
ოთარ ხიზანიშვილი	ფრაიბურგი	შ	დრეზდენი 1:0	9	შეცვლაზე ითამაშა	1	0	4
დავით სირაძე	აუე	შ	ბურგჰაუზენი 1:1	19	შეცვლაზე ითამაშა	2	0	12
<b>ინგლისი. ასოციაციის თასის მეთექვსმეტადღიანი</b>								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	ვესტ ჰემი 2:4	90				
<b>პოლანდია. პრემიერლიგა</b>								
შოთა არველაძე	ალკმარი	ს	როდა 4:1	90	3 გოლი	20	17	3
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	სპარტა 0:1	90		12	0	13
<b>საბერძნეთი. ეროვნული ლიგა</b>								
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	ოფი 0:0	90		13	0	6

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ფეხბურთის რეკორდები



**ივანეშვილი** „ტოტენჰემი“ ნიჭიერ ფეხბურთელ ნახევარმცველ ჰოსამ ვალის შეიქმნა. 25 წლის ფეხბურთელს ლონდონელთა ხელმძღვანელობასთან აპმედ ჰოსამ მიღობ გაუწია რეკორდდაცია. როტერდამის „ფეიენოორდის“ ვარსკვლავი, რომელიც ამჟამად ტრავმას იმუშებს, დაახლოებით 2 მილიონ ვირჯანქად ფასდება იმავდროულად, „მამლეს“ ვინათან ძებინას ტრანსფერი ჩაეშალათ. ფრანგი მცველის „უაით ჰართ ლინზე“ გადასვლა ბოლო მოქმედებაში „იუვენტუსის“ თავაკ ფაბიო კაპელოს შუქრება.

**გერმანულმა** „კიოლნმა“ ციურიხის „გრასჰოპერის“ პლეიმიკერი რიკარდო კაბანასი შეიძინა. შვეიცარიული პრესის ცნობით, 27 წლის ფეხბურთელმა „თხებთან“ 2010 წლამდე გააფორმა კონტრაქტი, ხოლო „გრასჰოპერმა“ დაახლოებით 800 ათასი დოლარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ „კიოლნი“ უკვე ერთი თვეა, ციურიხელთა ყოფილი თავაკი ჰანს-პეტერ ლატურის წვრთნის და კაბანასის ყიდვაც მისი იდეა იყო.


**შრანბულის** „სოში“ ბრაზილიელ ფორვარდ ველსონით გაძლიერდა. კლუბმა „კრუზეირის“ თავდამსხმელი ნახევარი წლით ინათხოვრა და კონტრაქტის თანახმად, თუ მოისურვა, სეზონის ბოლოს მასთან სამწლიანი შეთანხმების გაფორმებაც შეუძლია. „იმედია, რეგულარულად თამაშის საშუალება მოძიდება და შესაძლებლობებს გამოავლენ. მინდა, კლუბს მდგომარეობის გამოსწორებაში დავეხმარო“ — თქვა ველსონმა.

**ივანეშვილი** „ბირმინგემმა“ „მიდლსბროს“ დაასწრო და „სლაჟიას“ მცველი მარტინ ლატკა ხელში ჩაიგდო. ბირმინგემელმა პრადელთა ნიჭიერი და ახალგაზრდა ფეხბურთელი ნახევარი წლით ინათხოვრეს, ბოლომდე გამოსყიდვის პერსპექტივით. „ბირმინგემი“ ერთადერთი კლუბი გამოდგა, რომელიც „სლაჟიას“ პირობებს დაჟებულა — აღნიშნა 21 წლის ლატკას აგენტმა დალიბორ ლაკინამ.

**გერმანულმა** „მაინცმა“ სეზონის ბოლომდე ახალგაზრდა გენერი ვარსკვლავი პრინ ტაგუ ინათხოვრა. იურგენ კლოპის გუნდს „ახალ ვეად“ შერაცხული თავდამსხმელის ბოლომდე გამოსყიდვა აქვთ განზრახული. 19 წლის ტაგუ ამჟამად ვანური „აკრა პართისის“ საკუთრებაა. „მისი კლუბში მოსვლა დიდი ინვესტიციაა მომავლისთვის. ტაგუ შესაძური პოტენციალის მქონე მოთამაშეა და იმედია, ამ შესაძლებლობას ჩვენთან გამოავლენს“ — თქვა „მაინცის“ მენეჯერმა კრისტინ პაიდელმა.



ილარი ბლაზი და ფრანჩესკო ტოტი



კაკა და კაროლინა

# ბედის ირონია ანუ გოლ!

**„შირანტინას“** მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი ახალგაზრდობის ამბავს იგონებს, „იუვენტუსის“ ლეგენდარულ პრეზიდენტს, ჯამპიერო ბონიპერტის თითოეული ფეხბურთელის დაქორწინება უნდოდაო. ესაც საინტერესო მიდგომაა, ხომ მართალია?!

„სამპდორიას“ თავდამსხმელი ფაბიო ბიკანი კი სრულიად დარწმუნებულია, რომ მეუღლის, ალესის მხარდაჭერის გარეშე ტრავმებს ასე მალე ვერ მოიშუშდება.

„რაც როზარია გაეცანი, დაეწყინარდი“ — არ მალავს ანტონიო კასანო.

მაგრამ, ისეც არ უნდა გამოვივიდეს, თითქოს პირველწყაროდან მხოლოდ ბედნიერი მაგალითები გადმოვიწერეთ. იყო ტკივილიანი განშორებებიც: მონტელა, სიმონე ინმაგი, რონალდო... თუმცა, რონალდოს, როგორც ჩანს, ცოლების ცვლა ჩვევად ჩამოუყალიბდა.

ძირითადად კი მაინც ასეა, „მილანო მარტიმას“ ბარის მუდმივი კლიენტების გარდა, იტალიაში ყველა ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ დაოჯახება კარიერას ხელს უწყობს. მაგალითად, ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო დელ პიერო...

იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომლის თემა გახლდათ: როგორ მოქმედებს ფეხბურთელებზე ქორწინება, უფრო სწორად კი, სასიყვარულო თავგადასავალი. საინტერესო საკითხია, არა?! კაკა და კაროლინა, ალესანდრო და სონია დელ პიეროები, ანდრეი და კრისტენ შევჩენკოები, ჯანლუკა და ვალენტინა ძამბროტები... ისინი არიან მდიდრები და მოვლილები, ლამაზები და ცნობილები. მათ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, ოჯახური გარემო სჭირდებათ და მათთვის ქორწინება არის...

თუმცა, უკაცრავად, ჯერ ხომ „მილანო მარტიმას“ ამბავი უნდა განმარტოთ: ეს გახლავთ ბარი, სადაც ყოველ საღამოს სტუმრობენ განუყრელი მეგობრები ფილიპო ინმაგი, კრისტინ ვიერი და კრისტინ ბროკი. ბოროტი ადამიანები ენაშვარობენ, ამ სამეულს „მილანში“ ხელს რომ არ უშლიდნენ (ვიერი „მონაკოში“ გადასვლამდე) ერთმანეთზე იქორწინებდნენო. მაგრამ, მოდი ჩვენ ენაშვარე ხალხს ყური არ დაუვდეთ და წერილი ტოტისა და დელ პიეროს მიმართულებით განვაკითხოთ.

დახეთ, რა ხდება: ტოტი პოპულარულია, ნაკრებში კონკურენტი არ ჰყავს, მას ყოველ ცისმარე დღეს ეფერებიან და აქებენ; პოპულარულია დელ პიეროც, მაგრამ მისი გზა უფრო მუჯღუგუნებითაა სასე და ის ნაკლებად ღენდია. პოდა, მათი ქორწილებიც ფრიად განსხვავებული გახლდათ. ტოტის წვეულება პირდაპირ ეთერში გადაიციმოდა და სტუმართა რაოდენობა ათასს აღემატებოდა, დელ პიერო კი პრესა მოატყუა, საბედოს ხელი მოჰკიდა და მხოლოდ და მხოლოდ თორმეტი ადამიანი თანდასწრებით შეერთო ცოლად.

იქნებ, ამ ორ ქორწილს შორის განსხვავება მეუღლეთა განსხვავებული ბუნებიდან მოდის?

რასაკვირველია, ასეც შეიძლება ფიქრი. ბოლოს და ბოლოს, ტოტის მეუღლე გახლავთ ილარი ბლაზი, ქალი, რომელიც წლეულს სან რემოს ფესტივალს წაიყვანს, დელ პიეროს თანამეცხედრე კი სონია ამორუზოა, 1995 წელს ერთადერთ მოკრძალებულ კლიპში გადაღებული. მაგრამ ასეა თუ ისე, ამ ორ ფეხბურთელს ერთი რამ აშკარად აერთიანებს — დაოჯახებამ ისინი დაამშვიდა.

და კაკა? მის და კაროლინას ქორწილზე, სულ ახლახან, 23 დეკემბერს სან პაულუმში 600-მა ადამიანმა მოუღებინა, მაგრამ ამას ბრაზილიელისთვის მილანში დაბრუნებისთანავე ოთხ მატჩში სამი გოლის გატანაში ხელი არ შეუშლია. ან შევას თითზე ვინმეს ბეჭედი

უნახავს? ბეჭედი კი არა, უკრაინელმა „ოქროს ბურთი“ იმ წელიწადს მოიპოვა, როდესაც შვილი გაუწინდა — არ უშლის ოჯახი ამ კაცის კარიერას ხელს და მორჩა.

აი, „ინტერის“ თავდამსხმელს, ადრიანოს კი სულ ცოტა ხნის წინ, თუ გახსოვთ, მოედანზე არაფერი გამოუდიოდა. თამაში თამაშს მისდევდა, ბრაზილიელს კი ვერა და ვერ გაჰქინდა გოლი. პოდა, გაირკვა, რომ ამის მიზეზი დანიელას ფეხმძიმობა ყოფილა. ექოსკობამ ვაჟი აჩვენა.

თუ გახსოვთ, წერილის დასაწყისში ცუდი მაგალითები ვახსენეთ და, მონტელაო, დაეძინეთ. მართლაც ძალიან მძიმე გამოდგა „რომას“ თავდამსხმელისთვის რიტა ინაკონესთან განშორება. აერია ადამიანს თავგზა და ვოლტების გატანას დაანება თავი, მაგრამ დრო, მოგესხენებათ, ყველაფრის მკურნალია — მონტელამ რაკელ დი ფიორე გაიცნო და ბურთიც უმაღლესად შევარდა მეტოქის კარში.

იმე „რომას“ ფეხბურთელმა, ემერსონმა ქალი და გუნდი ერთდროულად მიატოვა — „იუვენტუსში“ გადაბარგდა.

სიმონე ინმაგის კი აღისია მარკუცი კარლო კუდინინისთან გაექცა და პატარა ტომაზოც განაშორა მამას... თქვენ თუ გვინდათ, რომ მას მერე სიმონე კარვად თამაშობს, ძალიან ცდებით.


ხოლო ჩეზარე პრანდელი იგონებს: „მასსოვს, „იუვენტუსში“ ჯამპიერო ბონიპერტის უნდოდა, რომ ყველას ცოლები მოგვეყვანა და ასეც მოვიქცით. ის ამბობდა, რომ ცოლიანი ხალხის გუნდი პასუხისმგებლობის მქონე ხალხის გუნდს ნიშნავს და ვეთანხმები, მოწყობილი ცხოვრება მოთამაშეს ემოციურად აწესრიგებს, თავიდან ქარს უგდებს. დაოჯახება, ფაქტობრივად, დაკაცება ნიშნავს, თუმცა ხანდახან ასეც არ ხდება. მთავარი საცოლის და მომენტის სწორი შერჩევაა. იტალიანი ქორწინების შემდეგ ადამიანი საკუთარ თავთან ჰარმონიაშია“.

რონალდო კი იცვლის და იცვლის ქალებს...



ანდრეი შევჩენკო და კრისტინა ბაბიჯი





ფერგიუსონის ინსის მუშტს გადაურჩა



## ინსის მოგონებები: უნდა დაემერტყა

ბასსონი პოლ ინსი?

ჯანმრთელადაა და თამაშობს კიდევ. სწორედ იმ „ვულვზში“, რომელიც კვირას სათასო ბრძოლიდან გამოთიშა „მანჩესტერმა“, რომელშიაც წინა ცხოვრებაში თამაშობდა ინსი და ძალიან მაგრადაც. იმდენად მაგრადა თამაშობდა, რომ ყოფილიც კი შეიქნა და II წლის წინათ „ინტერში“ გაიყვანეს. პოლა, პოლ ინსმა ის დრო გაიხსენა, როცა „მანჩესტერში“ თამაშობდა და სერ ალექს ფერგიუსონის გასალახად გაიწია სწორედ მამინ, როცა სერ ალექსი საერთოდ არ იყო ნაკურთხი რაინდად და უბრალოდ ფერგი გახლდათ.

ერთხელაც „მანჩესტერმა“ „ნორვიჩი“ დაამარცხა და ზეიმი გასახდელშივე დაიწყო. ყველა ხუმრობდა, ლლაბუცობდა და ღრიალებდა. ამ დროს გასახდელში ფერგი შემოსულა და სწორედ ინსის შეჯორვა დაუწყო. „ისე შელაპარაკებოდა, რომ ვიფიქრე, დავარტყამ მეთქი“ — იხსენებს ინსი — უნდა დამერტყა. 3:0 მოვიგეთ და გვიხურებდა. თავი შევიკავე, ვითომ ჭკუა გამოვაკვინე. მერე გიგზს მისდგა. ახლა რომ ვფიქრობ, უნდა დამერტყა. ბექემს რომ ბუცი მოართვა თვალში და რომ თქვენ, შემთხვევითობა იყო. ვინც ფერგის იცნობს, იმან იცის, ასეთი შემთხვევითობები არ არსებობს. იმას კი არ ვამბობ, რომ ძალით ქნა, მაგრამ რომ გადაეკეტება, მორჩა. იმავდროულად კი ის ჯივარიცაა, კარგი ხუმარაა და მეგობრული კაცია. პატივს ვცემ და, მგონი, მასაც არ ვშუღვარ.”

ირაკლი გამყრელიძე

## ო გაიშინო არ გეგვება

კვირას 40 წლის შესრულდა რომარიო, რომელიც კვლავაც თამაშობს და 50 ვოლი უკლია, რათა 1000-ბურთიან ზღვარს უწიოს.

20 წელიწადია, რომარიო პროფესიონალი ფეხბურთელია და 950-ჯერ აუღია კარი. ბოლოჯერ მან „ვასკუ და გამა“ — „ამერიკას“ მატჩში გაიტანა სწორედ იმ დღეს, როცა თომოცისა შესრულდა. წლეულს „ვასკუს“ უბერებელ ჯარისკაცს უკვე 9 გოლი აქვს ანგარიშზე, ოღონდაც უფრო ამხანაგურ მატჩებში.

შარმან ის საერთო-ბრაზილიური ჩემპიონატის მთავარმეფოლე იყო 31 თამაშში 22 გოლით და აცხადებს, რომ პელეს უნდა დაეწიოს, რომელსაც 1363 თამაშში 1281 ბურთი შეუგდია. „ო გაიშინო“ („პატარას“ ნიშნავს და რომარიოს მეტსახელია) ამბობს: „ვოლვზზე დიდად არ ვფიქრობ, მთავარია, კარგად ვითამაშო და ვოლი თავად მომეხდეს“.

ხალხს კი უკვირს, რომ რომარიო, რომელიც პრაქტიკულად არ ვარჯიშობს, ბარებში დაეხეტება, ჩხუბობს, სვამს, ეწევა და კიდევ რაღაცებს აკეთებს, მაინც არ ბერდება.

ირაკლი გამყრელიძე



სევილს მანჩესტერში სასაცილოდ არ ეცლება

## ინგლისი

# ოლდ ტრაფორდი სევილს დაუსტვენს ლივერპული მოსალოდნელია ფაულერი

რიფს და ცხრილის ქვედა სამუელიდან მეორე მხრე ადგილზე აცოცდნენ. ზედიზედ ოთხი მოგებული თამაში დევიდ მოიესის გუნდის მოყრალეობას ამტკიცებს, ასე რომ, ლივერპული „ლურჯები“ „უიგანს“ სამ ქულას ხონჩით არ მიართმევენ.

დევიდ მოიესის დისკვალიფიკაციამოხდელი ტიმ ჩეპლის ეიმედება, თუმცა ორი ჯეიში — მაკფადენი და ბიტი, შესაძლოა, ტრაფის გამო, ვერ დაიხმაროს.

უიგანელთა კაპიტან არიან დე ზეუვს სამი ტური გაუცდა, ახლა კი გუნდს დაუბრუნდა, ისევე, როგორც დევიდ ტომპსონი, რომელმაც „სიტიისთან“ სათასო მატჩი გამოტოვა. „უიგანის“ მწვრთნელის მთავარი სატყვიარი მეგოლე ანრი კამარაა. სენეგალელი ფეხბურთელი აფრიკის ეროვნებათა თასზე ევკობტეშია წაბრძანებული.

წლეულს თამაშობულებმა „მიდლსბრომ“ ნავსის გატეხვა სანდერლენდში უნდა სცადოს, რადგან პრემიერლიგის უსუსტეს გუნდს სტუმრობს.

„სანდერლენდის“ საციოდაობის ამბავი ცნობილია — გუნდმა სამხნაო გამარჯვების გემო არ იცის. მასპინძლებს დათარსულ გრაფაში ნულის „გაერთიანება“ სწადაით, ანუ „მიდლსბროსთან“ სამი ქულისთვის დაილღებიან. სტივ მაკლარენის „ბორო“ დეკემბრის დასაწყისიდან მიხელდა და ცხრილის შუიდან ქვევით, მეჩვიდმეტე ადგილზე ჩასრიალდა. ასე რომ, პრემიერლიგის „სარდაფში“ მიყუჩებულ „სანდერლენდსა“ და „მიდლსბროს“ შორის გვარიანი შეხლა გაიმართება.

აჰმედ ჰოსამ მიდოს გარეშე დარჩენილი „ტოტენჰემი“ ლონდონურ დერბიში „ფულემს“ დაეტაკება. ტოტენჰემელ „მამლებს“

სურთ და შეუძლიათ კიდევ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის „მიდლიაობა“, ამიტომ „ფულემთან“ მხოლოდ მოგება თუ დააცხრობთ.

ბირმინგემში „ასტონ ვილა“ „ჩელსის“ უმაჰინძლებს. სწორედ ასტონვილელმა მურმა შეძლო რვა მატჩში ვოლგაუშვებელი „ჩელსის“ კარისთვის ჯადოს ახსნა — ეს ამბავი პირველ წრეში მოხდა. ის მატჩი ბირმინგემელებმა მაინც წააგეს და, ალბათ, ზვალაც გაუჭირდებათ მაურინიუს გუნდთან ჭიდილი. ისიც სათქმელია, რომ „ჩელსი“ ბოლოჯამს ცოტა ურევს, ანუ ძველებურად ვეღარ არბევს მეტოქეებს და ეგებ „ასტონ ვილაამაც“ დაატოვებინოს ქულა.

გასულ ოთხშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბლექბერნის“ დამარცხებით ლიგის თასის ფინალი გაიწადა. მეტოქეებს შვიდ დღეში მორედ უწევთ დაჯახება. აქ საინტერესო იქნება რიო ფერნანდისა და რობი სევიჯის შეხვედრა, რომლებმაც სათასო მატჩისას ერთმანეთს გაულაწუნეს.

რაც შეეხება დაბეჭავებულ „არსენალს“, ვენგერის გუნდი გამოუთიშა ლიგის თასსაც, ასოციაციის თასსაც და ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც. ახლა „მეთოფეებს“ ორი რამ დარჩათ — ჩემპიონთა ლიგა და პრემიერლიგაში მესამე-მეოთხე ადგილისთვის ჯავჯვარი. „არსენალი“ ლონდონურ დერბიში „ვესტ ჰემს“ მასპინძლობს და ქომეგები ეგებ ამ მატჩის მოგებით მაინც გაახაროს.

„ლივერპული“ ფანები კი რობი ფაულერს ელიან. რაფაელ ბენიტესმა „სიტიდან“ შინ დაბრუნებული მეგოლე, შესაძლოა, „ბირმინგემთან“ ათამაშოს.

მაია ხუციშვილი

XXIV ტური	
სანდერლენდი	: მიდლსბრო
უიგანსი	: ვესტ ჰემი
ფულემი	: ტოტენჰემი
ჩარლტონი	: ვესტ ბრომვიჩი
სხვა	
არსენალი	: ვესტ ჰემი
ლივერპული	: ბირმინგემი
პორტსმუთი	: პოლტონი
ასტონ ვილა	: ჩელსი
ბლექბერნი	: მანჩესტერი
სიტი	: ნოვიკასლი

სადღეისო ვითარება					
ჩელსი	23	20	2	1	49:12 62
მანჩესტერი	23	14	6	3	42:20 48
ლივერპული	21	13	5	3	29:12 44
ტოტენჰემი	23	11	8	4	31:19 41
არსენალი	22	11	4	7	34:16 37
უიგანი	23	12	1	10	28:29 37
ბოლტონი	21	10	6	5	27:20 36
ბლექბერნი	22	10	4	8	27:25 34
ვესტ ჰემი	23	9	5	9	31:32 32
სიტი	23	9	4	10	30:27 31
ჩარლტონი	21	9	2	10	27:31 29
ვესტონი	23	9	2	12	16:31 29
ფულემი	23	7	5	11	27:32 26
ნიუკასლი	22	7	5	10	20:25 26
ასტონ ვილა	23	6	8	9	26:32 26
ვესტ ბრომვიჩი	23	6	4	13	21:32 22
მიდლსბრო	22	5	7	10	27:40 22
ბირმინგემი	22	5	4	13	20:31 19
პორტსმუთი	23	4	5	14	16:39 17
სანდერლენდი	22	2	3	17	17:40 9

ასოციაციის თასი	
მანჩესტერი	: მიდლსბრო
არსენალი	: ნოვიკასლი
სიტი	: ვესტონი
ბლექბერნი	: ჩარლტონი
ლივერპული	: მანჩესტერ იუნაიტედი
პორტსმუთი	: ვესტ ჰემი
სტოვი	: რედინგი
ბირმინგემი	
მატჩები გაიმართება 18-19 თებერვალს	









ბორჯღალოსანთა ერთერთი მწვრთნელი პაატა ნარიმანაშვილი (მარცხნივ) შეგირდებს აეროპორტში დახვდა



დავით ზერაქიშვილი ცოლ-შვილთან ერთად

გუმინ ორსაათიანი დაგვიანების შემდეგ პარიზი-თბილისის რეისმა საქართველოს ნაკრების ის ძირითადი ბირთვი ჩამოიყვანა, ევროპის ერთა თასის საოთხთებურვლო ჯახში რუსეთს რომ უნდა დაუხვდეს. ღამით საფრანგეთიდან ჩამოფრენილ 13 ლეგიონერს რამდენიმე საათით თბილისში ჩამოსვლა დაასწრეს საფრანგეთშივე მოთამაშე აქცესენტი ვიორგაძემ და იტალიური „როვიგოს“ უკანახაზელმა ბესიკ ხამაშურიძემ. ბორჯღალოსანთა მწვრთნელების მიერ შერჩეული სარუსეთო რაზმში სამი კაცი ისედაც საქართველოს ჩემპიონატში რაგბობს და შეიძლება ითქვას, ღამის მთელი ნაკრები შეიკრიბა. დღეს ბორჯღალოსნებს სამი „ფრანგი“, ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე, შერკინების ბურჯი ვიორგი კუთარაშვილი და „ანდორას“ მცველი ოთარ ბარკალაია დაემატებათ. დღესვე ნაკრები სამდღიან შეკრებაზე გადავა. გუმინ თბილისის ნასტუმრებმა მორაგბეებმა, როგორც კი მონატრებულ მომლოდინეებს ცოტათი მოსწყვდნენ, წინასამატჩო კომენტარებიც გააკეთეს.

**დავით ზერაქიშვილი:** „კარგ ფორმაში ვართ. გულშემატკივარს ჩვენი იმედი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ბოლო 12 წელიწადია, რუსეთს სულ ვუგებთ, მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშეთ ფრედ. ქართულ ქომაგს ვთხოვთ, რომ გვენდოს, მოვიდეს სტადიონზე და ამ ნდობას უთუოდ გვაპართლებთ“.

**მალხაზ ურჯუკაშვილი:** „ლეგიონერები კარგ ფორმაში ვართ, ეს სამი დღეც გვეყოფა შესათამაშებლად. უფიქრობ, სადღეისოდ ოპტიმალური შემადგენლობით დაეხვებით რუსებს. ძალიან რთული მატჩი იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ,

# გვინდეთ!

## რუსებმა გია ლაბაძე დაგვიბრუნეს



მალხაზ ურჯუკაშვილის (მარცხნივ) ძმა დახვდა



ბესიკ უდესიანი (მარჯვნივ) კარგ ხასიათზეა

მაგრამ რუსეთთან რომელი შეხვედრა არ იყო რთული? ის, რომ რუსეთის ნაკრები ორი კვირია, სამხრეთ აფრიკაშია შეკრებაზე, ბევრს არაფერს ნიშნავს“.

**ირაკლი მარჩანელი:** „მძიმე მატჩი გველის, მაგრამ საკუთარ სტადიონზე ქართველი ქომაგის თვალწინ უნდა მოვივლოთ. ბიჭები კარგ ფორმაში არიან და ტრავმაც არავის აწუხებს“.

**ირაკლი ვიორგაძე:** „მშვენიერ განწყობაზე ვართ, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა არავის გვაწუ-

ხებს. როგორც ყოველთვის, რუსეთთან ბრძოლა იქნება და დარწმუნებული ვარ, მოვივებთ“.

**ბესიკ უდესიანი:** „დიდი „საომარი“ გვექნება, მაგრამ უნდა მოვივლოთ. ვერ ვხედავ რაიმე ისეთს, რაც რუსების უპირატესობაზე მიუთითებს“.

ნაკრების ვეტერანი, ევროპის ერთა თასის მოპეები და 2003 წლის მსოფლიოს თასზე ნათამაშევი გია ლაბაძე კვლავ ნაკრებშია. შარშანწინდელი სანაკრებო სეზონი მწვრთნელებთან შეთანხმებით „ლაბო“

გააცდინა. შარშან რუმინეთთან გატანილი საუცხოო ლელოთი კი დაბრუნდა, მაგრამ ითქვა, ლაბაძე სანაკრებო კარიერას ასრულებსო.

„ჯერ არა, კიდევ შემოიღია თამაში. თანაც ახლა, ასეთ მომენტში ბიჭებს ვერ მივატოვებ. ხომ იცით, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს — მოვივებთ“ — გვითხრა გია ლაბაძემ. სხვათა შორის, ეს ის ლაბაძეა, ოთხი წლის წინათ რუსეთთან მატჩის წინა დღეს რომ იქორწინა, მაგრამ მოქვიფეები თავის მეჯვარეებთან, ილო ზედგინიძესა და ბე-

სიკ ხამაშურიძესთან ერთად მალევე მიატოვა და ვარკეთილის მეურნეობაში ნაკრების ვარჯიშზე ვველაზე აღრე მივიდა. მაშინ სახალისო სანახავე ის იყო, რომ შარვალი-კოსტუმის შიგნით ბიჭებს სავარჯიშო მაისურა და შორტები ეცვათ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ბორჯღალოსანთა სარუსეთო რაზმში მხოლოდ სამი მორაგბეა, ჩვენს ჩემპიონატში რომ თამაშობს. ესენი არიან: ზვიად მაისურაძე, ბიძინა სამხარაძე და ვიორგი შკინინი. დანარჩენები ლეგიონერები არიან. ამათგან სტაჟიანი ბორჯღალოსანი ბესიკ ხამაშურიძე იტალიურ „როვიგოში“ ჩაუქობს, ფლანკერი რატი ურუშაძე რუსეთში, დანარჩენები საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონებში თამაშობენ. სარუსეთო 22-კაციანი სრული რაზმი ასეთია:

**შარპინებმა:** ვოდერიძე შევლიძე, დავით ზერაქიშვილი (ორივე მონფერანი), აქცესენტი ვიორგაძე (კასტრი), ათო კობალიანი (მონტობანი), ოთარ კუთარაშვილი, ილია ზედგინიძე (ორივე ექსანპროვანსი), მამუკა ვიორგოძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (ვიარზონი), გია ლაბაძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (შალონი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), რატი ურუშაძე (ენსეი).

**შარპა ხაზნი:** ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ლოკომოტივი) პალიკო ჯიმშელიძე (ბობონი), ირაკლი ვიორგაძე (ბურგუნე), თემურ სოხაძე (ვიარზონი), ირაკლი მარჩანელი (მეზიე), ბესიკ ხამაშურიძე (როვიგო), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი), ოთარ ბარკალაია (ანდორა), ვიორგი შკინინი (ხულივანი).

**ბარო სვანიძე**  
ბადრი კმითილაძის ფოტოები



ათანდილ კობალიანი



ირაკლი ვიორგაძე



გია ლაბაძე











